

ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტი - 080376
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების დარგი მიეკუთვნება ხელოვნების სფეროს და მისი ამოცანაა სტუდენტს შეასწავლოს ქვის, ხისა და ლითონის დეკორატიული დამუშავება და ხატწერა. გაარკვიოს ისინი გამოყენებითი ხელოვნების მომიჯნავე დარგების ტექნოლოგიურ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში. მომიჯნავე დარგების ერთობლივად შესწავლა აამაღლებს სპეციალისტის კვალიფიკაციას და გააფართოებს მისი დასაქმების არეალს.

II. დასაქმების სფერო

შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საერო და საკულტო ნაგებობების მშენებლობის სფეროში, წამოიწყოს კერძო ბიზნესი ან თვითდასაქმების ფარგლებში იმუშაოს შემოქმედებითად ინდივიდუალური პროექტის განსახორციელებლად.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მეოთხე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება
- მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის პროგრამის ათვისება

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება ორსაფეხურიანია (IV და V). თითოეული საფეხურისთვის შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს. აქედან მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს. აქედან მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

V. ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის პროფესიულ კვალიფიკაციათა აღმწერი

ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.</p>	<p>იცნობს ქვის, ხისა და ლითონის დეკორატიული დამუშავებისა და ხატწერის თეორიულსა და პრაქტიკულ ასპექტებს, ერკვევა ქვის დეკორატიული დამუშავების ძირითად სახეობებში, მუშაობისთვის საჭირო მასალებსა და ინსტრუმენტებში, მათი გამოყენების ტექნოლოგიასა და ტექნიკაში; ერკვევა: ლითონის დეკორატიული დამუშავების სახეობებში - შავი ლითონების ცივი და ცხელი ჭედვა; ლითონის დეკორატიული დამუშავების კომპოზიციურ სპეციფიკაში, მუშაობისთვის საჭირო იარაღებსა და მათი გამოყენების ტექნოლოგიაში; იცნობს ხის დეკორატიული დამუშავების სახეობებს, ხის დეკორატიული დამუშავებისთვის საჭირო იარაღებსა და დანადგარებს; ერკვევა ამ იარაღებით მუშაობის ტექნიკასა და უსაფრთხოების დაცვის წესებში; შეუძლია იმუშაოს კომპიუტერულ პროგრამაში ArchiCAD; იცნობს ქართული და მსოფლიო ხატწერისა და ფრესკული ხელოვნების წანამდღვრებს. იცნობს; მართლმადიდებლური ხატისა და ფრესკის დამახასიათებელ კანონიკას, დოგმებსა და სახეობებს; ხატის კომპოზიციურ თავისებურებებს, შესრულების ტექნიკასა და შესაბამის მასალებს; ამ მასალების პრაქტიკული გამოყენების წესებს; აქვს ხატვისა და ფერწერის ელემენტარული უნარი; შეუძლია, ადეკვატურად აღიქვას და შეაფასოს კომპოზიციური ამოცანა; ფლობს: კონკრეტული დარგის ათვისებისთვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიას; სახვითი ხელოვნების დიდაქტიკას.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია; შესაბამისი მასალითა და სათანადო ტექნოლოგიური პროცესის დაცვით გადაჭრას კონკრეტული ამოცანა ქვის, ხისა და ლითონის დამუშავების, ხატწერისა და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების შესაძლებლობების ნაირგვარი კომბინაციით; ზედამხედველობა გაუწიოს შესაბამის დარგებში მომუშავე დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირებს.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.</p>	<p>შეუძლია კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად შეიმუშაოს ალტერნატიული ვარიანტები, შემუშავებული ვარიანტებიდან შეარჩიოს საუკეთესო და მის განსახორციელებლად გამოიყენოს ოპტიმალური და ვიზუალურად მოგებიანი მასალა.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში. შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>იცნობს პროფესიასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ ტერმინოლოგიასა და ტექნოლოგიურ პროცესებს; თავისუფლად შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი კომუნიკაცია პროფესიის ირგვლივ; იცნობს სპეციფიკურ საინფორმაციო ტექნოლოგიებს და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი ტექნოლოგიები. შეუძლია დაამუშაოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია უცხო ენაზე (ინგლისურად).</p>

სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ამ საფეხურის ათვისების შემდეგ შეუძლია განსაზღვროს პირადი პროფესიული ზრდის სავარაუდო პერსპექტივები და აირჩიოს სასურველი მიმართულება.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	იცავს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ ნორმებს. პატივისცემითა და პასუხისმგებლობით ეკიდება კოლეგებსა და მათი შრომის შედეგს. ითვისებს (საჭიროების შემთხვევაში) დამკვეთის სურვილს და კონკრეტულ სიტუაციაში იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს. იცავს უსაფრთხოების წესებს.

ქვისა და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	საფუძვლიანად ფლობს ქვის, ხისა და ლითონის დეკორატიული დამუშავებისა და ხატწერის თეორიულსა და პრაქტიკულ ასპექტებს; იცნობს: ქვის დეკორატიული დამუშავებისთვის საჭირო მასალებსა და მათ სტრუქტურას; შესაბამის ელექტრო- და მექანიკურ ხელსაწყოებსა და მუშაობის ტექნიკას; ქვის დეკორატიული დამუშავების კომპოზიციურ თავისებურებებს; ერკვევა ლითონების დეკორატიული დამუშავების სახეობებში: ფერადი ლითონების ჭედურობა, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ლითონების ჩამოსხმა-დამუშავება; იცნობს ნედლეულის დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესებს, იარაღებისა და დანადგარების გამოყენების ხერხებსა და წესებს; ხის დეკორატიული დამუშავებისთვის საჭირო მასალებს; ერკვევა ხის დეკორატიული დამუშავებისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტისა და დანადგარის გამოყენების წესებში; საფუძვლიანად ფლობს კომპიუტერულ პროგრამას ArchiCAD, ხატისა და ფრესკის შესრულებისთვის საჭირო მასალებისა და იარაღების გამოყენების წესებს; ხატვისა და ფერწერის საფუძვლებს; შეუძლია ქვის, ხისა და ლითონის დამუშავებისა და ხატწერის საშუალებების ერთობლივ კონტექსტში გააზრება; იცნობს ვიზუალური ხელოვნებისა და ხელოვნების ისტორიის წანამდგრებს; ფლობს მენეჯმენტის საფუძვლებს; მიღებული აქვს შესაბამის საწარმოში მუშაობის გამოცდილება.
ცოდნის პრაქტიკაში	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული	შეუძლია; შეიმუშაოს დარგის შესაბამისი ინდივიდუალური პროექტი; შეასრულოს საავტორო პროექტი პროგრამაში ArchiCAD; შეიმუშაოს კონსტრუქციული და

გამოყენების უნარი	პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.	ფერითი სავტორო ესკიზები ქვის, ხისა და ლითონის დამუშავებისა და ხატურისათვის ხატვისა და ფერწერის უნარების გამოყენებით; პროექტის მასალაში განსახორციელებლად გამოიყენოს ქვის, ხისა და ლითონის დეკორატიული დამუშავებისა და ხატურის შესაძლებლობები; გადაჭრას შემოქმედებითი ამოცანა და შეასრულოს ნამუშევრები ყველა ტექნოლოგიური პროცედურის დაცვით; უხელმძღვანელოს და კოორდინაცია გაუწიოს შესაბამის დარგებში მომუშავე პირთა ჯგუფს, ადეკვატურად შეაფასოს ნამუშევარი და, საჭიროების შემთხვევაში, გააუმჯობესოს შედეგი.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შეუძლია; სწორად განსაზღვროს სპეციფიკური დარგობრივი ამოცანა; კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად სათანადოდ გამოიყენოს ყველა შესწავლილი დარგობრივი კომპეტენცია; ადეკვატურად შეაფასოს შესრულებული ნამუშევრის ხარისხი, ვიზუალური მხარე და გააანალიზოს შედეგი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია: თანმიმდევრულად და მწყობრად მიაწოდოს პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია და იდეები სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს; ინფორმაციის მიწოდებისას გამოიყენოს თვისებრივი და რაოდენობრივი პარამეტრები; პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს უცხოურ (ინგლისურ) ენაზე და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ანგარიში.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსის ათვისების შემდეგ შეუძლია სწორად განსაზღვროს პირადი პროფესიული ზრდის, ან დასაქმების პერსპექტივები, აირჩიოს მისთვის მისაღები ვარიანტი - დასაქმდეს, ან გააგრძელოს სწავლა შესაბამის საბაკალავრო სპეციალობაზე.
ღირებულებები	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს.	შეუძლია; სწორად შეაფასოს როგორც თავისი, ისე სხვების დამოკიდებულება პროფესიული საქმიანობის მიმართ; გაუზიაროს სხვებს ამ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ეთიკური, უსაფრთხოების, კოლეგიალობისა და სხვა ღირებულებები.